სამუშაო რვეული

ქართული ენა უცხოელი შემსწავლელებისთვის

# აღმაჩენი

## A2+

ენის საფუძვლის
გაძლიერებული დონე

www.geofl.ge

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

„აღმართი“ A2+ (ენის საფუძვლის გაძლიერებული დონე) განკუთვნილია იმ შემსწავლელებისათვის, რომლებიც უკვე ფლობენ ქართული ენის ელემენტარულ დონეს. ენის A2+ დონეზე დაუფლების შემდეგ შემსწავლელს შეეძლება: ინსტრუქციის შემცველი და მოკლე საინფორმაციო ტექსტების, ტელე- და რადიოგადაცემების, ჟურნალ-გაზეთებსა თუ ინტერნეტში მოძიებული ინფორმაციის მთავარი არსის გაგება, თუ ისინი ეხება მისთვის ნაცნობ თემებს; ინფორმაციის გაცვლა; საუბრის დაწყება და მასში უფრო აქტიური მონაწილეობა; საკუთარი მოსაზრებების მარტივად დასაბუთება მისთვის ნაცნობ ან საინტერესო საკითხზე; მარტივი სიტყვებით საუბარი საკუთარ გრძნობებსა და ემოციებზე, პირად გამოცდილებაზე, თავისი ქვეყნისა და ხალხის ზნე-ჩვეულებებზე; ზეპირად თუ წერილობით ახსნა იმისა, რა მოსწონს ან არ მოსწონს; ნაცნობი თემების შესახებ მარტივი ტექსტების შედგენა, საკუთარი აზრისა თუ რაიმე ინსტრუქციის წერილობით ჩამოყალიბება.

სახელმძღვანელო შემსწავლელს აძლევს გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნას ისეთი მოცულობით, როგორიც საჭიროა ენობრივი უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის A2+ დონის შესაბამისად და ამზადებს ენის ფლობის შემდეგ დონეზე სწავლის გასაგრძელებლად.

ავტორები: თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე
რედაქტორი — ნატა დავითაშვილი

ილუსტრატორ-დიზაინერი — ქეთევან ლომიშვილი
მოსასმენი დავალებები გახმოვანებულია სტუდია „ანასეულის“ მიერ.

www.geofl.ge

სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახის“ ფარგლებში.

პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი — მარიკა ოძელი

© 2017

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"



# დამზადებულია საქართველოში

## ბლოკი 1

### ეროვნული პროდუქტი

**1** ნახეთ ვიდეოჩანაწერი (1.1) და მონიშნეთ, სწორია/არასწორია.



| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| ქართული პროდუქტის შეძენისას ფულს ვუხდით მას, ვინც პროდუქტს აწარმოებს. | | |
| წარმოების გაფართოების შედეგად საქმდება მეტი ადამიანი. | | |
| ქართული პროდუქტის წარმოებისას იზრდება იმპორტი. | | |
| საქართველოში წარმოებული პროდუქტი აძლიერებს ქვეყნის ეკონომიკას. | | |

**2** წაიკითხეთ ტექსტი და ჩასვით შესაბამისი სიტყვა გამოტოვებულ ადგილას:



ფინანსდება ჩნდება იქმნება ფართოვდება
საქმდება აძლიერებს შედის იზრდება აძლიერებს

როცა ვყიდულობთ ქართულ პროდუქტს, მოქალაქე ფულს უხდის ადგილობრივ მწარმოებელს. ამის შედეგად ..................................... წარმოება და მეტი ხალხი ..............................................., მეტი ფული ............................. ბიუჯეტში, ................................................ სოციალური პროგრამები. ინვესტიციები ................................. ეროვნულ ვალუტას, ........................... ახალი საწარმოები, ..................... დოვლათი და ....................................... ექსპორტი, ეს ყველაფერი ............................... საქართველოს ეკონომიკას.

**3** მოცემულ ტექსტში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები. შეარჩიეთ სიტყვები შესაბამისი ფორმით:

ამზადებს / მზადდება / მზა
ხორციელდება / ახორციელებენ / ხორცი
საქმდება / ასაქმებს / საქმე

„აგროჰაბი" იმით არის გამორჩეული, რომ იგი ყველაფერს ნატურალური პროდუქტისგან ..................... , ნატურალური და ჯანსაღია როგორც რძის პროდუქტები, ასევე საქონლისა თუ ფრინველის .................. ............ . პროდუქტებიც, რომლებიც იქ იყიდება, შაშხით დაწყებული და

სალათებით დამთავრებული, მხოლოდ ნატურალური პროდუქტებისგან ............ .

„აგროჰაბში“ მომხმარებელი შეძლებს შეიძინოს თანამედროვე და მაღალი სტანდარტებით დამზადებული მრავალფეროვანი ასორტიმენტის „ოჯახური“ მურაბები და მჟავეული. მრავალფეროვანი ასორტიმენტით არის წარმოდგენილი ხილ-ბოსტნეულის ძალიან დიდი არჩევანი, ხოლო ეგზოტიკური ხილის იმპორტი უცხოეთიდან ................... .

„აგროჰაბის“ გახსნით დედაქალაქისთვის ძალიან კარგი ...................... კეთდება. 15 მილიონი ლარის ინვესტიციის შედეგად 200-ზე მეტი ადამიანი ..................... , რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით. ქალაქში არსებობს ცენტრი, სადაც მომხმარებელს შეუძლია ხარისხიანი და უვნებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შეიძინოს. მნიშვნელოვანია, მომავალშიც ხელი შევუწყოთ ისეთ ინვესტორებს, რომლებიც ასეთ პროექტებს ............... და რომლებიც ადამიანებს ................... “, - აღნიშნა დედაქალაქის მერმა, დავით ნარმანიამ.

**4** **უყურეთ ვიდეოჩანაწერს (1.1) კიდევ ერთხელ და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები. გამოიყენეთ შემდეგი სახელზმნები ზმნის შესაბამისი ფორმით: გაძლიერება, შექმნა, დაფინანსება**



ა. ქვეყანაში წარმოებული პროდუქტი ................................................ ქვეყანას.

ბ. ექსპორტით ........................................ ქვეყნის ეკონომიკა.

გ. ახალი საწარმოები .................................... სამუშაო ადგილებს.

დ. გაძლიერებული ეკონომიკით ........................................ სოციალური პროგრამები.

**5** **დაწერეთ პუნქტების მიხედვით, რა იცვლება ქვეყანაში, როცა ეროვნული პროდუქცია იქმნება?**



- ვალუტა
- ექსპორტი
- უმუშევრობა
- საწარმოები
- ბიუჯეტი
- სოციალური პროგრამები

ბლოკი 2

## ქართული ექსპორტი

**1** წაიკითხეთ შემსწავლელის წიგნის 1-ლ დავალებაში მოცემული ტექსტი და შეავსეთ ცხრილი საექსპორტო პროდუქტებით მოცემული კატეგორიის მიხედვით:



| დამუშავებული პროდუქტი | ნედლი / დაუმუშავებელი საქონელი |
|---|---|
| | |

**2** წაიკითხეთ შემსწავლელის წიგნის 1-ლ დავალებაში მოცემული ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:



ა. ქართული საექსპორტო პროდუქტებიდან რომელი გადის ყველაზე მეტ ქვეყანაში?

ბ. რომელი პროდუქტები გადის გერმანიაში?

გ. რომელი პროდუქტია შედარებით ახალი საერთაშორისო ბაზრებზე?

დ. რომელი პროდუქტის ექსპორტიდან შემოდის ყველაზე დიდი თანხა?

ე. რომელი პროდუქტი გადის საქართველოდან ყველაზე შორეულ ქვეყნებში?



**3** გადახედეთ ტექსტს (შემსწავლელის წიგნი, ბლოკი 2, დავალება 1) კიდევ ერთხელ და მიუსადაგეთ ერთმანეთს ფრაზები:

| | |
|---|---|
| აღიარება მოიპოვა | პოპულარულია |
| ექსპორტზე გავიდა | ინტერნაციონალური ბაზარი |
| საცდელი პარტია | ცნობილი გახდა |
| დიდი მოთხოვნით სარგებლობს | საზღვარგარეთ გაიტანეს |
| საერთაშორისო ბაზარი | გასასინჯი რაოდენობა |

**4** იპოვეთ ტექსტში (შემსწავლელის წიგნი, ბლოკი 2, დავალება 1) შემდეგი სიტყვების/ფრაზის სინონიმები:



ა. დამზადებულია ............................................................

ბ. პოსტსაბჭოთა ქვეყნები ................................................

გ. წამლები...........................................................................

დ. ფასი ..............................................................................

**5** გაეცანით ინფორმაციას „ბორჯომის“ შესახებ. თუ გსურთ, მოძებნეთ დამატებითი ინფორმაცია ინტერნეტში და შეადგინეთ საინფორმაციო ტექსტი შემდეგი ფრაზების გამოყენებით:



საერთაშორისო აღიარება მოიპოვა
ექსპორტმა ...მლნ შეადგინა
ექსპორტზე გავიდა
დიდი მოთხოვნით სარგებლობს




**სახელწოდება:** ბორჯომი
**ტიპი:** მინერალური წყალი
**პირველი ექსპორტი:** 1900 წელი
**პირველი ჯილდოები:** ბელგია (1907), რუსეთი (1909), გერმანია (1911)
ექსპორტი 1990 წელს: 450 მლნ-ზე მეტი ბოთლი
**ექსპორტი:** 30 ქვეყანა, ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები

ბლოკი 3

## აგროჰაბი

**1** დააკვირდით წიგნის 1-ლ დავალებაში მოცემულ ფლაიერს და დაწერეთ, რისი დაგემოვნება შეიძლება „აგროჰაბში“?



**2** დააკვირდით ქვემოთ მოცემულ სურათს და დაწერეთ:



ა. სად მდებარეობს „აგროჰაბი“?

ბ. ფლაიერის მიხედვით კიდევ რისი დაგემოვნება შეგვიძლია ,,აგროჰაბში“?










აგროჰაბი · AgroHub

5თებერვალი.

აგროჰაბში ნატურალური რძის პროდუქტების დეგუსტაცია დაიწყო!

მობრძანდით და დააგემოვნეთ 100%-ით ქართული ნატურალური რძისგან დამზადებუი: ყველი, მაწონი, არაჟანი, ხაჭო.
გვეწვიეთ ➡ მარშალ გელოვანის გამზ. #22 ⬅




მომწონს კომენტარი გაზიარეთ

Ann Gadakhabadze და 1 ათასი სხვა ქრონოლოგიურად

## 3 დააკვირდით ფეისბუქის ჩანაწერებს აგროჰაბის გვერდზე და გაარკვიეთ:



ა. რომელ საათამდე მუშაობს ეს ჰიპერმარკეტი?



**Marika Khitarishvili** რომელ საათზე იწყებთ მუშაობას?
მომწონს - პასუხი - 10 თებერვალი, 8:23-ზე

**აგროჰაბი · AgroHub** სამუშაო საათებია : 09:00-22:00
მომწონს - პასუხი - 10 თებერვალი, 8:24-ზე

**Marika Khitarishvili** მადლობა
მომწონს - პასუხი - 10 თებერვალი, 8:25-ზე

ბ. იპოვეთ შემდეგი სიტყვების სინონიმები ჩანაწერებიდან:



იმპორტული პროდუქცია

ეროვნული პროდუქცია

დიდი ნაწილი



**Kote Xosiashvili** გამარჯობა, ქართულ პროდუქციასთან ერთად უცხოური პროდუქციაც ხომ არ გაქვთ?
მომწონს - პასუხი - 13 თებერვალი, 17:14-ზე

**აგროჰაბი · AgroHub** მოგესალმებით. პროდუქტების უმეტესობა ქართულია, მაგრამ გვაქვს ასევე იმპორტული სახეობებიც, რომლებიც საქართველოში ფიზიკურად არ არის, მაგალითად, ტროპიკული ხილი.
მომწონს - პასუხი - 14 თებერვალი, 9:56-ზე

## 4 ჩასვით ფორმები შესაბამის ადგილას:

წარმოებულია                წარმოებისაა

საექსპორტო საქონელი ................................ საქართველოს მიერ, იმპორტული საქონელი უცხო ქვეყნების ................................................

## 5 მიუწერეთ სიტყვებს შესაბამისი დაბოლოებები:



ა. თხილი დღეს იყიდება იტალიაში, გერმანიაში, ესპანეთში, ყაზახეთ........ და სხვა ქვეყნებში.

ბ. ქართული ჩაი იყიდება მონღოლეთში, თურქეთ ........ , გერმანიასა და რუსეთში.

გ. მწვანილი ყველაზე დიდი რაოდენობით გადის ბელორუსში, უკრაინაში, ყაზახეთსა და ლიტვა........ .

დ. ქართული დაფნა პოპულარულია პოლონეთ......., ბულგარეთ......., ვიეტნამ....... და ფილიპინებში.

ე. ქართული ნატურალური წვენები გადის გერმანია........ და აშშ-ში.

ვ. ადრე ქართული მატყლი იყიდებოდა თურქეთში, უკრაინასა და რუსეთ...... .

## ბლოკი 4

## პროდუქტის ეტიკეტი

**1** დაათვალიერეთ სხვადასხვა პროდუქტის ეტიკეტები შემსწავლელის წიგნში და მონიშნეთ ცხრილში, რომელ ეტიკეტზე რა ინფორმაცია იძებნება:

| | მწარმოებელი | გამოშვების თარიღი | ვარგისიანობის ვადა | შენახვის პირობები | მწარმოებლის მისამართი | მწარმოებლის ტელეფონი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მინ.წყალი | | | | | | |
| ზეთი | | | | | | |
| მაწონი | | | | | | |
| პური | | | | | | |

**2** მონიშნეთ სიაში, რა სახის ინფორმაციას უნდა შეიცავდეს აუცილებლად პროდუქტის ეტიკეტი:

ა. კალორიულობა;
ბ. წონაში დასაკლები დიეტა;
გ. ვიტამინების შემცველობა;
დ. კერძის მომზადების რეცეპტი;
ე. ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებათა შემცველობა;
ვ. მწარმოებლის ფეისბუქის გვერდის მისამართი;
ზ. გამოყენებული საკვების დანამატების სია;
თ. საწარმოს ისტორია;
ი. შენახვის სპეციალური პირობები;
კ. საწარმოს დაარსების თარიღი.

**3** გადახედეთ ჩამონათვალს და მონიშნეთ, რა არ უნდა იყოს ეტიკეტზე:

ა. საწარმოს საფირმო სახელწოდება და მისამართი;
ბ. იმ ქვეყნის დასახელება, სადაც დამზადებულია პროდუქცია;
გ. პროდუქციის დამამზადებელი კომპანიის მფლობელის სახელი და გვარი;
ე. შენახვის ვადა;
ვ. დამზადების თარიღი;
ზ. წონა;
თ. ფერი;
ი. მოცულობა;
კ. იმპორტის პარტიის ქვეყანაში შემოსვლის თარიღი.

**4** გაეცანით ავტორის ჩანაწერს და გაარკვიეთ, რომელია დადებითი (+) პუნქტი და რომელია - ნეგატიური (-):

**სოფლის ნობათის მაწონი – 5 შენიშვნა და 4 კომპლიმენტი**

დაახლოებით 5 თვის წინ kar.ge-ზე სოფლის ნობათის მაწვნის შესახებ ჩვენი გუნდის წევრმა ეს მეტად პოზიტიური სტატია დაწერა. ნამდვილად არ მახსოვდა ამის შესახებ [ძებნისას აღმოვაჩინე Google-ში], თორემ მეორე სტატიას არ დავწერდი. მაგრამ, რადგან დაწერილი მქონდა, მაინც გამოვაქვეყნე. თვითონვე დარწმუნდებით, რომ ამიერიდან kar.ge-ზე პროდუქტებს უფრო დაკვირვებით შევამოწმებ. მე პირადად ვფიქრობ, რომ ასეთი ტიპის განხილვა უფრო სასარგებლო იქნება როგორც კომპანიისთვის, ასევე მომხმარებლისთვის.




1. შეფუთვის დიზაინი ნამდვილად ეფექტურია, კარგად ჩანს დახლზე;

2. მე პირადად მაწონს არ მივირთმევ, მაგრამ ამ მაწვნის ხარისხი ჩემს ოჯახში მოსწონთ;

3. ფასი – 1.4 ლარი, ნორმალური ფასია;

4. მომწონს ის, რომ საწარმო საქართველოშია, ე.ი. ქართულ საქმეს აკეთებს;

5. ბრენდს არ აქვს ვებგვერდი და არც Facebook გვერდი. ეს სირცხვილია! „სოფლის ნობათის" ძებნისას სამი Fb გვერდი იძებნება და არცერთი კომპანიის არ არის. მწარმოებელი – შპს „ვიმ-ბილ-დანი" – ამაზე უნდა ზრუნავდეს;

6. ქოხის და ქალბატონის სურათი აშკარად შორსაა ქართული რეალობისგან. როგორც ჩანს, დიზაინის შექმნისას არ იყო გათვალისწინებული, რომ საქართველოს ბაზარზე უნდა გაეყიდათ, ან პატივი არ სცეს ქართველ მომხმარებელს;

7. სერტიფიცირებულია შიგა სტანდარტით. შიგა სტანდარტი რა არის, რომ დავინტერესდე, ვებგვერდზე არ არის, რომ გავარკვიო;

8. მიმდინარე სარეკლამო კამპანია არ აქვს არსად. როცა რეკლამა გადიოდა, მახსოვს მხოლოდ რუსული ვარიანტის ქართულად თარგმნილი ვერსიები იყო;

9. პროდუქტზე მითითებულია, რომ არის ნატურალური, მაგრამ საიდან დავრწმუნდე რომ ასეა? რას ნიშნავს საღი რძე? საღი უცხიმო რძე? მშრალი უცხიმო რძე? (იქვე ასევე წერია, უცხიმო მშრალი რძეც). ბოლო-ბოლო ნატურალური რძითაა დამზადებული თუ რძის ფხვნილით, ნათელი არ არის ჩემთვის. ეს ინფორმაცია, წესით, ვებგვერდზე უნდა იყოს.

წყარო: http://kar.ge/სოფლის-ნობათი-მაწონი-review/

**5** შემსწავლელის წიგნიდან შეარჩიეთ რომელიმე პროდუქტის ეტიკეტი და მე-4 დავალებაში მოცემული პუნქტები შეუსაბამეთ ამ ეტიკეტს (ამოწერეთ პუნქტის ნომერი).



© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"



# საგანგებო სიტუაციები

## ბლოკი 1

### 112 (ას თორმეტი)

**1** გადახედეთ ფრაზებს და მონიშნეთ, რომელი შეიძლება მივაკუთვნოთ საგანგებო სიტუაციას?

| | კი | არა |
|---|---|---|
| ხანძარი | | |
| ქუჩაში ადამიანის დაცემა | | |
| ავტოავარიის დანახვა | | |
| მანქანაში საწვავის გამოლევა | | |
| მეზობელი ოჯახიდან კივილის გაგონება | | |

**2** ა. დააკვირდით ფოტოებს და თითოეულს ფუნქციის მიხედვით მიუწერეთ შესაბამისი სახელი.



3 ____________________

4 ____________________

5 ____________________

1 ____________________

2 ____________________

**ბ. ვინ რას აკეთებს? მიუწერეთ ფრაზას შესაბამისი ფოტოს ნომერი.**

მოქალაქეს უწევს სამედიცინო დახმარებას. ..........

პასუხობს მოქალაქის ზარს. ..........

ინფორმაციას აწვდის შესაბამისი სამსახურის დისპეჩერს. ..........

მიდის ავტოავარიის ადგილას. ..........

რეკავს საგანგებო სიტუაციების სამსახურის ოპერატორთან. ..........

ამუშავებს შემოსული ზარის შინაარსს. ..........

მიდის მოქალაქის დასახმარებლად. ..........

მოქალაქეებს ეხმარება ხანძრის შემთხვევაში. ..........

**3** როგორ უნდა მოვიქცეთ 112–ში დარეკვისას? მონიშნეთ სწორი პასუხი.

ა. უნდა ვისაუბროთ სწრაფად, რომ მალე მოვასწროთ ყველაფრის თქმა;
ბ. უნდა ვუპასუხოთ ოპერატორის ყველა შეკითხვას;
გ. ოპერატორს უნდა ვუთხრათ მხოლოდ დაზარალებულის მდგომარეობის შესახებ;
დ. უნდა ვიყოთ მშვიდად და ვისაუბროთ გარკვევით;
ე. ოპერატორს უნდა მოვუყვეთ, რა ემოციები გვაქვს.

**4** დააკვირდით ფოტოს და დაწერეთ, როგორ მოვიქცეთ ასეთ სიტუაციაში?



გამოიყენეთ აუცილებლობის გამომხატველი ფრაზები:



ბლოკი 2

## ზარი ოპერატორთან

**1** რა მიზნით არ შეიძლება დარეკვა 112 -ზე?



ა. გამოიყენეთ კონსტრუქცია „-ის მიზნით“:

1. 112 -ის ცენტრის მუშაობის ..................................................

2. ოპერატორისთვის შეურაცხყოფის ..................................................

3. ავტობუსის განრიგის ..................................................

4. პიცის ..................................................

5. ტაქსის ..................................................

ბ. გამოიყენეთ მიმღეობიანი კონსტრუქციები:

1. ცრუ განგაშის გამოსაწვევად ..................................................

2. ამინდის პროგნოზის ..................................................

3. რესტორნის მენიუს ..................................................

4. ვინმეს მისამართის ..................................................

**2** ა. გაეცანით შემსწავლელის წიგნის (ბლოკი 2) 1-ლ დავალებაში „ყურადღება“ გრაფის ქვეშ მოცემულ ფრაზას და გაარკვიეთ, რა ზიანი მოაქვს გართობის მიზნით 112 -ზე დარეკვას:

______________________________________

______________________________________

ბ. მოიყვანეთ მაგალითი ფრაზისთვის „წამები გადამწყვეტია“:

______________________________________

______________________________________

**3** წაიკითხეთ შემსწავლელის წიგნის პირველ დავალებაში „გახსოვდეთ“ გრაფის ქვეშ მოცემული ფრაზა და კონტექტიდან გამომდინარე, იპოვეთ ფრაზების განმარტებები (მონიშნეთ ერთი სწორი ვარიანტი):



ა. „არამიზნობრივად გამოყენება“

◯ წინასწარ განსაზღვრული მიზნისთვის გამოყენება;

◯ გაურკვეველი მიზნით გამოყენება;

◯ გარკვეული მიზნით გამოყენება.

ბ. „კანონით დასჯა“

- ◯ სახელმწიფოს მიერ გარკვეული ჯარიმის დაწესება;
- ◯ კონკრეტული პირის მიერ სასჯელის განსაზღვრა;
- ◯ გარკვეული ქმედებისთვის პიროვნების დაჯილდოება.

**4** **წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ინფორმაცია კიდევ ერთხელ და თქვენი სიტყვებით დაწერეთ, რას გულისხმობს ეს გაფრთხილება?**

„112-ში ყოველი შემოსული ზარი იწერება და არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში ისჯება კანონით“.

______________________________________________

______________________________________________

**5** **დაუკავშირეთ ფრაზები ერთმანეთს:**

| | |
|---|---|
| შეურაცხყოფის | სიტუაცია |
| ცრუ | მიყენება |
| საგანგაშო | განგაში |
| საფრთხის | შექმნა |

## ბლოკი 3

## დაკარგული ნივთი

**1** **ა. მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (2.1) და ჩაწერეთ, რას პასუხობს ლიკა ვანდას შემდეგ შეკითხვაზე:**

ვანდა: დავრეკო თუ მივიდე?

ლიკა: 112-ზეც ..........................................................................................

**ბ. ხაზი გაუსვით ზმნებს დიალოგის მოცემულ ფრაგმენტში.**

**გ. ა დავალებაში მოცემული დიალოგის ფრაგმენტებში იპოვეთ ნაცნობი ფორმის ზმნები და მიუსადაგეთ წყვეტილის ფორმები.**

მაგალითად: დავრეკო - დავრეკე

______________________________________________

______________________________________________

დ. რას გამოხატავს ეს ფორმები?

**2** მოუსმინეთ აუდიოჩანაწერებს (2.1 და 2.2) და მიუწერეთ, ვის ეკუთვნის მოცემული ფრაზები (ვანდა, ლიკა, პოლიციელი):

| | |
|---|---|
| ა. უი, სად? როდის? | |
| ბ. სად, თბილისში? | |
| გ. გამაგებინე რას იზამ, კარგი? | |
| დ. ახლა სად ხართ? თქვენი მისამართი მითხარით. | |
| ე. პირველი სადარბაზო, მესამე სართული. | |
| ვ. დაახლოებით ერთ საათში. | |

**3** მოუსმინეთ აუდიოჩანაწერებს (2.1 და 2.2) კიდევ ერთხელ და ჩაინიშნეთ შესაბამისი ფრაზები დიალოგებიდან:

- ვარაუდი დაკარგვის ადგილის თაობაზე: მგონი, ტაქსიში დამრჩა.
- საკუთარი სახელის თქმა: ..........
- შემდგომი მოქმედების დასახვა: ..........
- მოკითხვა: ..........
- მისამართის მიცემა: ..........
- შეკითხვა დაკარგვის ვითარებაზე: ..........
- პასუხი დაკარგვის ადგილის თაობაზე: ..........
- შეკითხვა დაკარგვის ვითარებაზე: ..........
- მისამართის დაზუსტება, შეკითხვა და პასუხი შემდგომ მოქმედებაზე: ..........
- დამშვიდობება: ..........
- იდენტიფიცირება ორგანიზაციის სახელით: ..........
- პრობლემის გაზიარება ..........
- პრობლემის გაზიარება საკუთარი სახელისა და გვარის დასახელება: ..........
- დამშვიდობება: ..........

**4** თუ რაიმე ნივთი დაკარგეთ ან იპოვეთ, რომელ ფრაზებს გამოიყენებდით მეგობართან და პოლიციასთან საუბრისას? გაანაწილეთ ცხრილში:

არ ვიცი, რა ვქნა, პოლიციაში დავრეკო თუ მივიდე.

იცი, რა დამემართა, საფულე დავკარგე.

გამარჯობა, დღეს სამარშრუტო ტაქსიში ვიპოვე მობილური ტელეფონი.

ახლა შევამჩნიე, რომ საფულე დავკარგე და პოლიციის განყოფილებაში ვაპირებ მისვლას.

მგონი, ავტობუსში დამრჩა.

გმადლობთ, რამდენ ხანში მოვა ბრიგადა?

გამარჯობა, 20 წუთის წინ საფულე დავკარგე 66 ნომერ ავტობუსში.

| მეგობართან საუბრის დროს | პოლიციელთან საუბრის დროს |
|---|---|
| | |

**5** შეადგინეთ დიალოგები მოცემული სიტუაციების მიხედვით:

ა. თქვენ დაკარგეთ საფულე:







ბ. თქვენ იპოვეთ მობილური ტელეფონი:






## დიალოგი პოლიციელთან და ოპერატორთან

**1** გაეცანით ქვემოთ მოცემულ ინსტრუქციებს და დანომრეთ თანამიმდევრულად, რა უნდა უთხრათ ოპერატორს, როცა 112-ზე რეკავთ:

◯ შემთხვევის ლოკაცია;
◯ შემთხვევის ტიპი;
◯ სახელი და გვარი.

112

მთავარი ჩვენ შესახებ სერვისები სიახლეები ბავშვებისთვის საჯარო ინფორმაცია ვაკანსიები FAQ კონტაქტი

### ოპერატორთან თანამშრომლობა

**112-ში მუშაობენ პროფესონალი ოპერატორები, რომლებიც მოქალაქეების ზარებს 24 საათის განმავლობაში პასუხობენ.**

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მათ მუდმივად უტარდებათ სპეციალური ტრენინგები და გამომუშავებული აქვთ უნარები, რომ საგანგებო სიტუაციის დროს შეძლონ ინიციატორისგან საჭირო ინფორმაციის მიღება და მათთვის ოპერატიული დახმარების აღმოჩენა.
მხოლოდ ოპერატორის პროფესიონალიზმი არ არის საკმარისი დახმარების აღმოსაჩენად. დროული და ეფექტური დახმარების მისაღებად მნიშვნელოვანია ოპერატორთან სწორი ფორმით თანამშრომლობა.

**კითხვები, რომლებზეც აუცილებლია პასუხის გაცემა:**

1. რა მოხდა? – შემთხვევის ტიპი
2. სად მოხდა? – შემთხვევის ზუსტი ადგილი (ლოკაცია)
3. თქვენი სახელი და გვარი

**როდესაც წამები გადამწყვეტია, აუცილებელია უპასუხოთ 112-ის ოპერატორის შეკითხვებს გარკვევით.**

112-ის ოპერატორთან თანამშრომლობის დროს:

- **აუცილებელია, გქონდეთ პასუხები ზემოთ ჩამოთვლილ სამ კითხვაზე;**
- **ისაუბროთ გარკვევით და მშვიდად;**
- **არ გათიშოთ ტელეფონი, სანამ ოპერატორი არ დაასრულებს თქვენთან საუბარს.**

**გახსოვდეთ!**
ლოკაცია - ოპერატორთან თანამშრომლობისას უმნიშვნელოვანესი ინფორმაციაა. თუ ვერ აუხსნით ოპერატორს შემთხვევის ადგილს, შეუძლებელი იქნება დახმარების დროულად აღმოჩენა.

ბ. რა უნდა გაითვალისწინოთ აუცილებლად ოპერატორთან საუბრის დროს? მონიშნეთ სწორი პასუხები:

სწრაფად საუბარი. ☐

გათიშეთ ტელეფონი, როგორც კი სათქმელს ეტყვით. ☐

უთხარით ოპერატორს, სად და რა მოხდა და თქვენი სახელი და გვარი. ☐

დაელოდეთ ოპერატორის საუბრის დასრულებას. ☐

დაახლოებით აუხსენით ოპერატორს, სად მოხდა შემთხვევა. ☐

**2** მოიფიქრეთ, რა შეიძლება მოხდეს, თუ:



ა. ოპერატორს არ ეტყვით შემთხვევის ზუსტ ადგილს, ..............................

..............................

ბ. ტელეფონს გათიშავთ მაშინ, როცა ოპერატორს ლაპარაკი დასრულებული არ აქვს, ..............................

..............................

გ. სამი მთავარი შეკითხვიდან რომელიმეზე პასუხი არ გაქვთ, ..............................

..............................

**3** იპოვეთ ტექსტში შემდეგი სიტყვებისა და ფრაზებისთვის სინონიმური მნიშვნელობები:

ა. დროული და ეფექტური დახმარება –..............................

ბ. ლოკაცია – ..............................

გ. სატელეფონო საუბრის შეწყვეტა – ..............................

დ. აუცილებელი ინფორმაცია – ..............................

**4** გაიხსენეთ რომელიმე ნივთი, რომელიც დაკარგეთ და აღწერეთ ისე, რომ პოლიციელმა ოქმში ჩაწეროს. შეადარეთ, როგორ აღწერს აუდიოჩანაწერში (2.3) ვანდა საფულეს:

**5** გაიხსენეთ სად და როდის დაკარგეთ ეს ნივთი და შეავსეთ ოქმი ნივთის დაკარგვის შესახებ:

მოქალაქე:

მცხოვრები:

www.geofl.ge
© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"



# მოგზაურობა

## ბლოკი 1

### დასასვენებელი ადგილები

1 მოცემული აქტივობები დააკავშირეთ სეზონებთან.

| გაზაფხული | ზაფხული | შემოდგომა | ზამთარი |
|---|---|---|---|
| | | | |

ბუნებაში დასვენება; გუნდაობა; მზეზე გარუჯვა; ექსკურსიაზე წასვლა; ყვავილების კრეფა; თხილამურებზე დგომა; ზღვაში ცურვა; დასვენება მთაში; პიკნიკი ბუნებაში;

2 ზამთარი უფრო გიყვართ თუ ზაფხული, რატომ?

3 წაიკითხეთ წიგნის მე-3 დავალებაში მოცემული ტექსტი და უპასუხეთ, სწორია თუ არა მოცემული წინადადებები.



| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| 1. საქართველოში მხოლოდ ორი ტიპის ჰავაა. | | |
| 2. კლიმატის ჩამოყალიბება დამოკიდებულია ქედებზე და მათ მიმართულებაზე. | | |
| 3. საქართველოს ჰავას ქმნის კავკასიონი. | | |
| 4. დასავლეთ საქართველოში დიდი რაოდენობით მოდის ნალექი. | | |
| 5. შავი ზღვა კავკასიას იცავს ცივი ჰაერისგან. | | |

4 შემსწავლელის წიგნში მოცემულ რუკაზე (ბლოკი 1, დავალება 4) აირჩიეთ ერთი რეგიონი და დაწერეთ, როგორი ამინდია ხოლმე ძირითადად?



**5** დაწერეთ, წელიწადის რომელ სეზონზე გირჩევნიათ დასასვენებლად წასვლა? რატომ?

## ბლოკი 2

## სამოგზაურო ტურები

**1** აღწერეთ, რა სიხშირით ხდება ესა თუ ის ბუნებრივი მოვლენა თქვენს რეგიონში:

**2** ა. ერთი წუთის განმავლობაში დაწერეთ 5 რამ, რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ტურის შერჩევისას.

ბ. გაეცანით ქვემოთ მოცემულ ჩამონათვალს და შეადარეთ თქვენ მიერ ჩამოწერილ კრიტერიუმებს.

კომფორტული ტრანსპორტი;
სასიამოვნო გარემო;
გიდის გაყოლა;
ფოტოგადაღება;
კვება;
ტურის ღირებულება;
ტურის მარშრუტი.

**3** შეავსეთ ფრაზები მოცემული სიტყვებით:

დათვალიერება ~~გადაღება~~ დაჯავშნა დაქირავება გათევა ჩაწერა

ა. ფოტოების გადაღება

ბ. ცხენების ______________________

გ. ღამის ______________________

დ. ტურზე ______________________

ე. ღირსშესანიშნაობების ______________________

ვ. ტურის ______________________

**4** დაუკავშირეთ ერთმანეთს:

| | |
|---|---|
| ჯიპტური | მხოლოდ წასვლის ღირებულება, უკან დაბრუნების გარეშე |
| ერთი გზის საფასური | ღამის გატარება |
| ღამის გათევა | ტური ჯიპით/ჯიპებით |

**5** იპოვეთ თქვენთვის სასურველი ტური ინტერნეტით (მაგ.:www.turebi.ge), აღწერეთ ეს ტური და დაასაბუთეთ, რატომ აირჩიეთ:



ბლოკი 3

## სასტუმროს შერჩევა

**1** შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 3, დავალება 2) მოცემული სასტუმროების მონაცემებიდან ამოწერეთ ფრაზები, რომლებითაც ადმინისტრაცია ტურისტების მოხიბვლას ცდილობს.



ა. არის ყველა საჭირო პირობა თქვენი კომფორტისთვის.

ბ. ______________________________

გ. ______________________________

დ. ______________________________

ე. ______________________________

ვ. ______________________________

**2** გაეცანით შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 3, დავალება 2) მოცემულ ინფორმაციას 3 სასტუმროს შესახებ და უპასუხეთ შეკითხვებს:

ა. რომელი სასტუმროს სახელი უკავშირდება საქართველოს ისტორიას?

..............................................................................................................................

ბ. რომელ სასტუმროს აქვს სპეციალური ფასდაკლება? ვისთვის არის განკუთვნილი ეს ფასდაკლება?

..............................................................................................................................

გ. რომელი სასტუმრო მდებარეობს ცენტრიდან ყველაზე შორს?

..............................................................................................................................

**3** დააკვირდით ინფორმაციას სასტუმროების შესახებ და მონიშნეთ ცხრილში ის ინფორმაცია, რომელსაც იპოვით:



| | სასტუმრო „ბათუმი“ | სასტუმრო „ძველი ქალაქი“ | სასტუმრო „იბერია“ |
|---|---|---|---|
| უფასო პარკირება | | | |
| გაღვიძების სერვისი | | | |
| სამრეცხაო | | | |
| ტრანსპორტირება აეროპორტიდან | | | |

**4** შემსწავლელის წიგნში მოცემული სასტუმროებიდან რომელს აირჩევდით და რატომ?



______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

**5** მოცემული იმეილი შეავსეთ გამოტოვებული სიტყვებით:

ერთდღიანი    ინფორმაცია    ორადგილიანი    დაჯავშნა

MAIL

Sans Serif  TT  B  I  U  A

Inbox (1)
Sent Mail
Drafts (3)
Spam
Trash
More

გამარჯობა,

დავინტერესდი თქვენი .................................................. ტურით ბათუმში.

მსურს სასტუმროში ................................ ნომრის ................................ თუ შეგიძლიათ,

მომწეროთ დამატებითი ........................ სასტუმროს სამზარეულოს შესახებ, სადაური

კერძებია და არის თუ არა თქვენს სასტუმროში ინდივიდუალური კვების მენიუ?

მადლობას გიხდით ინფორმაციისთვის წინასწარ,
პატივისცემით,

ნატა სიდამონიძე.

**6** მოცემული ნიმუშის მსგავსად დაასრულეთ შემდეგი წინადადებები.

მაგალითად

ბორჯომის ცენტრიდან 4 კილომეტრში მდებარეობს - 4 კილომეტრის გავლის შემდეგ შეგიძლიათ მისვლა

ა. 10 წუთის სავალზე ......................................................................................................

ბ. 300 მეტრის მოშორებით მდებარეობს ..........................................................................







ბლოკი 4

## სასტუმროსკენ

**1** მოუსმინეთ აუდიოჩანაწერებს (3.1 და 3.2), გაეცანით შეკითხვებს და ცარიელ უჯრებში ჩაწერეთ შესაბამისი პასუხის ნომერი:

ა. ☐ სასტუმრო გლობუსი აეროპორტიდან შორია?

ბ. ☐ სად მიდიხართ?

გ. ☐ რამდენად გამიყვანთ?

დ. ☐ ავტობუსის გაჩერება სად არის?

1. სასტუმრო გლობუსში.
2. 10 ლარად.
3. სადგურის მოედნიდან როგორც კი გახვალთ, მარცხნივ.
4. კი, ეგ ახალ ბათუმშია, ბულვარის ბოლოშია თითქმის.

**2** მოუსმინეთ აუდიოჩანაწერებს (3.1, 3.2 და 3.3) და მონიშნეთ (✓), სწორია თუ არა მოცემული წინადადებები:

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| ა. სასტუმრო ,,გლობუსი'' მდებარეობს ახალ ბათუმში, ბულვარის დასაწყისში. | | |
| ბ. სასტუმრო რედისონი მდებარეობს რუსთაველზე. | | |
| გ. 34 ნომერი ავტობუსი მიდის რუსთაველზე. | | |
| დ. სერგი მესხის ქუჩის გაგრძელებაზე მდებარეობს მაიაკოვსკის ქუჩა. | | |

**3** მოუსმინეთ აუდიოჩანაწერებს (3.2 და 3.3) და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები ზმნებით:

დიალოგი 3.2

— უკაცრავად, ხომ არ იცით, სასტუმრო რედისონამდე როგორ .......................................................... ?

— მაჩვენეთ რუკა. ჩვენ ახლა აქ ვართ (რუკაზე მიუთითებს) და ეს სასტუმრო არის რუსთაველზე. ფეხით შორია, ამიტომ 34 ნომერ ავტობუსს ...................................................... .

— და ავტობუსის გაჩერება სად არის?

— მოედნიდან როგორც კი ........................................... , მარცხნივ.

## დიალოგი 3.3

— უკაცრავად, ბაგრატიონის ქუჩა ფეხით აქედან შორსაა?

— არც ისე. ............................................ ამ ქუჩას ბოლომდე და ........................................ მარჯვნივ მაიაკოვსკის ქუჩაზე. შემდეგ გადადით გზის მეორე მხარეს და ......................................................... პირდაპირ. მალევე, გზის მარცხენა მხარეს, დაინახავთ მრგვალ ცისფერ შენობას და იმ შენობასთან გაუხვიეთ მარცხნივ. ..................................................... დადიანის ქუჩას ბოლომდე და მარჯვნივ სერგი მესხის ქუჩაზე. ამ ქუჩის გაგრძელებაზეა ბაგრატიონის ქუჩა.

— დიდი მადლობა.

**4** ა. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები სწორი დაბოლოებებით:

1. უკაცრავად, ხომ არ იცით, სასტუმრო რედისონა ................................................ როგორ მივიდე?

2. ეს სასტუმრო არის რუსთაველ ......................................................... .

3. სადგურის მოედნი ............................................ როგორც კი გახვალთ, მარცხნივ არის ავტობუსის გაჩერება.

ბ. მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (3.2) და გადაამოწმეთ, სწორად დაწერეთ თუ არა.



**5** გამოტოვებულ ადგილებში ჩასვით მოცემული სიტყვები:

| | | | |
|---|---|---|---|
| მივიდე | გაყევით | შეუხვიეთ | წადით |

ა. 26 მაისის ქუჩაზე როგორ ............................................. ?

ბ. 1-ლ ნომერ ავტობუსს ............................................. .

გ. გაყევით ამ ბილიკს ბოლომდე და ................................................ მარცხნივ.

დ. გადადით გზის მეორე მხარეს და ............................................. პირდაპირ.

www.geofl.ge
© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

# თემა IV

# სოციალური ქსელები, მედია

## ბლოკი 1

### ჩემი შესახებ

**1** შემსწავლელის წიგნის (ბლოკი 1, დავალება 2) მოცემულ ბლოგებში იპოვეთ რჩევა დამწყები ბლოგერისთვის:

---



**2** დაათვალიერეთ ბლოგები და გაარკვიეთ, კიდევ რა საშუალებით შეიძლება ნინოსთან და დაჩისთან ურთიერთობა. მონიშნეთ სწორი პასუხები:

ა. ნინო:
შეიძლება მასთან ფეისბუქზე დამეგობრება;
შეიძლება ტვიტერზე მასთან მეგობრობა;
შეიძლება მისი ფეისბუქგვერდის მოწონება;
შეიძლება მეილის მიწერა.

ბ. დაჩი:
შეიძლება მასთან ფეისბუქზე დამეგობრება;
შეიძლება ტვიტერზე მასთან მეგობრობა;
შეიძლება მისი ფეისბუქგვერდის მოწონება;
შეიძლება მეილის მიწერა.



**3** წაიკითხეთ დაჩის ბლოგი კიდევ ერთხელ და თქვენი სიტყვებით დაწერეთ, რას ნიშნავს:

ა. დიდი იმედი მაქვს, რომ ბლოგზე "ორმხრივი მოძრაობა" იქნება.

---

ბ. ხან გვიჭირს, ხან გვილხინს.

---



**4** ქვემოთ მოცემული ფრაზები დაალაგეთ თანამიმდევრობით ისე, რომ მიიღოთ ბლოგერის ჩანაწერი რუბრიკისთვის „ჩემ შესახებ“:

იმედი მაქვს, ბევრ კომენტარს დამიწერთ.
ეს მცირე ინფორმაციაა, მაგრამ ჩემი პოსტებით უკეთ გამიცნობთ.
ვმუშაობ ტელევიზიაში / ვსწავლობ უნივერსიტეტში.
რამდენიმე წინადადებით გაგაცნობთ თავს.
კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩემს ბლოგზე.
არ დაიზაროთ ჩემი ბლოგის კითხვა.

მე მქვია ..................................., ვარ ...................... წლის.

**5** ქვემოთ მოცემული ფეისბუქის ველები შეავსეთ თქვენ შესახებ ინფორმაციით:






ბლოკი 2

## სოციალური ქსელები

**1** **ტექსტში იპოვეთ სინონიმური მნიშვნელობის ფრაზა:**



ფეისბუქის ექაუნთი გამიუქმდება ..........................................................................................

მომიწევს გუგლპლიუსზე გადაბარგება ..........................................................................................

**2** **წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ფრაზები და გაარკვიეთ, რატომ იყენებს ბლოგის ავტორი „ვეღარ“ ნაწილაკს. მონიშნეთ სწორი პასუხი:**



ვეღარ გავიგებ, რა ხდება საქართველოსა და მსოფლიოში.
ვეღარ დავეკონტაქტები ვირტუალურ მეგობრებს.
ვეღარ ვიპოვი თანამოაზრეებს სხვადასხვა საკითხში.

ა. იძულებული არ იქნება, რომ ეს გააკეთოს;
ბ. შესაძლებლობა არ ექნება, რომ ეს გააკეთოს;
გ. სურვილი არ ექნება, რომ ეს გააკეთოს.

**3** **დაასრულეთ ფრაზები „ვეღარ“ ნაწილაკის გამოყენებით. ზმნებთან გამოიყენეთ ზმნისწინები:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| და- | გა- | მო- | გა- | და- |

ა. მეგობრები ხშირად მწერენ ფეისბუქზე.
თუ ფეისბუქი არ მექნება, ..........................................................................................
ბ. სოციალური ქსელებით კოლეგები საინტერესო სტატიებს მიზიარებენ.
თუ სოციალური ქსელები არ მექნება, ..........................................................................................
გ. ფეისბუქზე ვათვალიერებ მეგობრების საინტერესო ფოტოებს.
თუ ფეისბუქი არ მექნება, ..........................................................................................
დ. ფეისბუქით ვიგებ საინტერესო ღონისძიებების შესახებ.
თუ ფეისბუქი არ მექნება, ..........................................................................................
ე. სოციალური ქსელებით ვუმეგობრდები საერთო ინტერესების მქონე ადამიანებს.
თუ სოციალური ქსელები არ მექნება, ..........................................................................................

**4** **ა. მონიშნეთ, რომელი სიტყვიდან არის ნაწარმოები ხაზგასმული სიტყვები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. <u>თანამოაზრე</u> | ○ მოაზროვნე | ○ აზრი | ○ აზროვნება |
| 2. <u>დაწუნებული</u> | ○ წუნი | ○ მოწონება | ○ წუნიანი |

**ბ. ხაზგასმული სიტყვები იპოვეთ ტექსტში, გამოიცანით მათი მნიშვნელობა და გადაამოწმეთ თქვენი ვარაუდი ლექსიკონში.**

**5** ჰკითხეთ თქვენს მეგობრებს / კოლეგებს / ნაცნობებს:

ა. რომელ სოციალურ ქსელს იყენებენ ყველაზე ხშირად?

ბ. რა დადებითი და/ან უარყოფითი მხარე ექნება, თუ სოციალურ ქსელში აღარ იქნებიან?

შეგროვებული ინფორმაცია წარადგინეთ ჯგუფში.

## ბლოკი 3

### ვლოგი

**1** ნახეთ ვიდეოჩანაწერი (4.2) და აღნიშეთ სწორი წინადადებები.

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| ავტორს ბევრი ვლოგი აქვს გადაღებული. | | |
| ავტორი მიდის მეგობრებთან ერთად. | | |
| მეგობრები ღამეს სასტუმროში გაათევენ. | | |
| ავტორი მიდის ბორჯომში. | | |

**2** ნახეთ ვიდეოჩანაწერი (4.1) და მონიშნეთ ინფორმაცია ვლოგერის შესახებ.

| | |
|---|---|
| ვლოგერი აღნიშნავს ახალ წელს. | |
| ვლოგერი მიდის ბორჯომში. | |
| ვლოგერს თან მიაქვს კომპიუტერი. | |
| ვლოგერს ჰყავს 50000 გამომწერი. | |
| ვლოგერს აქვს ორი საახალწლო ნაძვის ხე. | |
| ვლოგერის ნაძვის ხე არც ისე პატარაა. | |
| ვლოგერს მოსწონს ხედი თავისი სახლიდან. | |
| ვლოგერი ყოველ წელს უყურებს ახალი წლის ფეიერვერკს სახლიდან. | |

**3** ნახეთ ვიდეოჩანაწერი (4.2) და შეავსეთ ცხრილი.



| | |
|---|---|
| ვლოგერის სახელი | |
| დრო | |
| ადგილმდებარეობა | |
| სად აპირებს წასვლას? | |

**4** დაწერეთ, რომელი ვლოგი უფრო მოგეწონათ, რატომ?



## ბლოკი 4

## სოციალური ქსელების უარყოფითი მხარე

**1** ნახეთ ვიდეოჩანაწერები (4.3 და 4.4) კიდევ ერთხელ და აღნიშნეთ √, სწორია თუ არა მოცემული წინადადებები:



| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| სოციალური ქსელები საჯარო სივრცეა. | | |
| სოციალურ ქსელში არ ხდება პირადი ინფორმაციის გავრცელება. | | |
| სოციალურ ქსელში შეგვიძლია ნებისმიერ მომხმარებელს ვენდოთ. | | |
| თუ არ გვინდა, რომ ჩვენი პერსონალური ინფორმაცია სხვებისთვის ხელმისაწვდომი იყოს, უნდა გავითვალისწინოთ ინტერნეტთან დაკავშირებული საფრთხეები. | | |
| სოციალურ ქსელში უცხო ადამიანებს არ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ ჩვენი გაზიარებული ინფორმაცია ნახონ. | | |

**2** ა. ვიდეოჩანაწერების (4.3 და 4.4) მიხედვით მოცემულ ცხრილში დააჯგუფეთ სოციალური ქსელების არსებობასთან დაკავშირებული დადებითი და უარყოფითი არგუმენტები:



| დადებითი არგუმენტები | უარყოფითი არგუმენტები |
|---|---|
| | |

ბ. მოიფიქრეთ და დაამატეთ არგუმენტები ცხრილში.



**3** იპოვეთ და ისრით დაუკავშირეთ სინონიმური მნიშვნელობები:

| | |
|---|---|
| საჯარო სივრცე | ნებისმიერი ადამიანის მიერ თქვენი მოსაზრებების, ფოტოებისა და დოკუმენტების ნახვა. |
| ინფორმაციის გაჟონვა | ყველასთვის ჩვენება, გაზიარება |
| გასაჯაროება | თქვენი სურვილისა და საჭიროების შესაბამისად. |
| თქვენი ინტერესებიდან გამომდინარე | სახალხო ადგილი |

**4** დაწერეთ მსგავსი მნიშვნელობის წინადადებები „ხომ“-ის გამოყენებით:



სოციალურ ქსელებში ხშირად ათავსებენ ფოტოებს, დოკუმენტებს და სხვა ტიპის პირად ინფორმაციას, ასე არ არის?

ფეისბუქიდან მარტივად ხდება ინფორმაციის გაჟონვა, ასე არ არის?

ფეისბუქში მეგობრების წრეში გაზიარებული ინფორმაცია შესაძლებელია გახდეს ყველასათვის ხელმისაწვდომი, ასე არ არის?

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

# თემა V

# თეატრი, კინო

## ბლოკი 1

### ფილმის პრემიერა

**1** ნახეთ ფოტოსურათი და შეავსეთ ცხრილი:

| | |
|---|---|
| ფილმი | |
| მსახიობი | |
| სად შეიძლება ნახვა? | |
| როდიდან? | |




**2** დააკავშირეთ ფოტოსურათებთან ფრაზები.





| | | |
|---|---|---|
| | | |

1. სურდა რეალობის ასახვა;
2. აღარ რჩება დრო, რომ გარედან შევხედოთ ჩვენს რეალობას;
3. სოციალური დრამაა;
4. მისი სახით კიდევ ერთი საინტერესო ქალი რეჟისორი შეემატა;
5. ცდილობს ქირურგიული სიზუსტით რეალობის ასახვას.

**3** ვიდეოჩანაწერის (5) მიხედვით დააკავშირეთ ფრაზები ერთმანეთთან.

| | |
|---|---|
| უზრუნველყოფილი | აუწყოს |
| ფეხი | მოქცევა |
| ჩიხში | ცხოვრება |

**4** შეავსეთ ცხრილი თქვენი საყვარელი ფილმის შესახებ.

| | |
|---|---|
| ფილმის დასახელება | |
| რეჟისორი | |
| მსახიობები | |
| კომპოზიტორი | |

## ბლოკი 2

## რომელი ფილმი ან სპექტაკლი მოგწონთ

**1** გაეცანით აფიშებს და შეავსეთ ცხრილი შესაბამისი ინფორმაციით:

მარჯანიშვილის თეატრი



როგორც გენებოთ

რეჟისორი: ლევან წულაძე

მონაწილეობენ: მანანა კოზაკოვა, ნატო კახიძე, ქეთევან შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნატა მურვანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკოლოზ თავაძე, მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ონისე ონიანი

სპექტაკლის ხანგრძლივობა: 130 წუთი

| თარიღი: | დარბაზი: | დრო: | ფასი: |
|---|---|---|---|
| 12 თებერვალი | დიდი სცენა | 20:00 | 6–16 ლ. |

## სიჩუმე




„სიჩუმე"

ჟანრი: დრამა, ისტორიული
რეჟისორი: მარტინ სკორსეზე
როლებში: ენდრიუ გარფილდი, ადამ დრაივერი, ლიამ ნისონი, ტადანობუ ასანუ, კირან ჰაინდსი
სცენარი: ჯეი კოკსი, მარტინ სკორსეზე
პრემიერა საქართველოში: 29.11.2016
მსოფლიო პრემიერა: 30.01.2017
IMDB რეიტინგი: 7.6
ასაკობრივი კატეგორია: R

### სეანსები - კავეა ისთ ფოინთი

**კვირა - 12 თებერვალი**

22:00 13-14 ₾

| | აფიშა 1 | აფიშა 2 |
|---|---|---|
| ფილმის/სპექტაკლის დასახელება: | | |
| კინოთეატრის/თეატრის დასახელება: | | |
| ვინ არის რეჟისორი? | | |
| რომელი მსახიობები მონაწილეობენ? | | |
| თარიღი და ხანგრძლივობა | | |
| ბილეთის ფასი | | |

**2** მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (5.1) და მონიშნეთ, რომელი ფრაზაა სწორი:



- ○ თიკო სპექტაკლზე ვერ წავიდა.
- ○ სპექტაკლში იუმორიც იყო.
- ○ სპექტაკლში ორი მსახიობი იყო.
- ○ თიკოს სპექტაკლის შესახებ კარგი შთაბეჭდილება დარჩა.
- ○ გოგოებს ისევ უნდათ სპექტაკლზე წასვლა.

**3** **ა.** ფილმის/სპექტაკლის რომელი ჟანრია თქვენთვის ცნობილი? რომელს ანიჭებთ უპირატესობას? შეავსეთ ცხრილი შესაბამისი ინფორმაციით.

| ჟანრები, რომლებიც ვიცი | ჟანრები, რომლებიც მომწონს |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

**ბ.** დაასაბუთეთ, რატომ მოგწონთ თქვენ მიერ ჩამოთვლილი ფილმის/სპექტაკლის ჟანრები.

**4** ნახეთ ფილმის აფიშები (შემსწავლელის წიგნის მე–5 და რვეულის 1–ლი დავალებები) და შეავსეთ ცხრილი.



| ფილმი | ჟანრი |
|---|---|
| „ჯონ უიკი 2“ | |
| „სიჩუმე“ | |

**5** დააკვირდით აფიშებს (შემსწავლელი წიგნი, დავალება 5) და შეავსეთ ცხრილი, ვისთვის რომელი აფიშა იქნება საინტერესო? დაასაბუთეთ თქვენი აზრი. შესაძლოა, ერთი პასუხი რამდენიმე აფიშას მიუსადაგოთ.



- ★ შეყვარებული წყვილი
- ★ მეგობრები/მეგობარი ბიჭები
- ★ საშუალო ასაკის ცოლ-ქმარი

| | |
|---|---|
|   | |
|   | |
|   | |

## ბლოკი 3

### თეატრში

**1** ა. შეავსეთ ცხრილი შესაბამისი ფრაზებით.

გამარჯობა, რომელ სპექტაკლზე?
მარჯანიშვილის თეატრში, არტ ხელოვნებაზე, კვირას არის მგონი.
გამარჯობა, სპექტაკლზე გვინდა ბილეთები.
გადასახდელი გაქვთ 97 ლარი, 90 ბილეთების და 7 ლარი საკომისიო.
დიახ, კვირას არის რვა საათზე და რამდენი ბილეთი გნებავთ?
ცხრა ბილეთი, თუ შეიძლება.
აი, ადგილებიც რომ ნახოთ, თუ მოგეწონებათ.
რამდენი ბილეთი გნებავთ?
ნაღდი ფულით.
ბარათით გადაიხდით თუ ნაღდი ფულით?
ცხრა ბილეთი მოგვეცით ათლარიანი.
აი, ინებეთ თქვენი ხურდა 3 ლარი და ბილეთებიც.

| მყიდველი | გამყიდველი |
| --- | --- |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

ბ. მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (5.2) და და გადაამოწმეთ თქვენი ვარაუდი.

**2** მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (5.3) და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები.

აუ, თიკო, ნახე რაღაც......................................., წამოდი რა, ვნახოთ?

ანა, ვნახე დილას უკვე, ........................................... თავისუფლებაზე.

ვაიმე, მართლა? წავიდეთ, ხო?

სად უნდა წავიდეთ, ........................................... წასვლა ხო დავგეგმეთ უკვე?

აუ, თეატრში მერეც წავალთ და კონცერტი აღარ იქნება.

აუ, ნახე, როგორ ................................ გავიყინებით, თან ხომ იცი, არ მიყვარს ..................................

აუ, ისე კი ცივა, თან საღამოს უფრო აცივდება, მაგრამ სხვებიც წამოვიდოდნენ და კარგ დროს ....... ...................................................................

ხო, მაგრამ თეატრის ........................................... ნაყიდი რომ გვაქვს უკვე?

ხოო, ეგ აღარ ........................................... რომელზე არის?

რვაზე.

კარგი, წავიდეთ.

**3** მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (5.3) კიდევ ერთხელ და მიუსადაგეთ ფრაზები სახელებს.

| ანა | ა | თიკო |
| --- | --- | --- |
| | | |

1. არ უყვარს ხმაური
2. კონცერტზე უნდა წასვლა

| ანა | ბ | თიკო |
|---|---|---|
| | | |

1. ძალიან ცივა, გავიყინებით.
2. ვნახე დილას უკვე, კონცერტია თავისუფლებაზე.
3. სხვებიც წამოვიდოდნენ და კარგ დროს გავატარებდით .
4. აუ, ხო, ეგ აღარ მახსოვდა.
5. თეატრის ბილეთები ნაყიდი რომ გვაქვს უკვე?
6. თეატრში სხვა დროსაც წავალთ, კონცერტი აღარ იქნება.
7. ხომ იცი, არ მიყვარს ხმაური.

**4** მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (5.3) და ფრაზებს მიუწერეთ საპირისპირო მოსაზრება.



ა. სხვებიც წამოვიდოდნენ, კარგ დროს გავატარებდით.

ბ. წავიდეთ კონცერტზე ხომ?

გ. თეატრში მერეც წავალთ და კონცერტი აღარ იქნება.

**5** მოიფიქრეთ არგუმენტები და ჩამოწერეთ, რომელზე წახვიდოდით? კონცერტი თუ სპექტაკლი? რატომ?



| კონცერტი | სპექტაკლი |
|---|---|
| | |

ბლოკი 4

## ფაბულა



**1** დააკვირდით შემსწავლელის წიგნის 1-ლ დავალებაში (ბლოკი 4) მოცემულ აფიშას და შეავსეთ ცხრილი.

| | |
|---|---|
| თეატრი, სადაც მოცემული სპექტაკლი იმართება. | |
| ჟანრი: | |
| სპექტაკლში მონაწილეობს: | |
| მსახიობები: | |



**2** გადახედეთ შემსწავლელის წიგნის 1-ლ დავალებაში (ბლოკი 4) მოცემულ აფიშას კიდევ ერთხელ და მონიშენთ სწორი ინფორმაცია.

| | |
|---|---|
| სპექტაკლი ღიმილისმომგვრელი „ფიქოლოგიური კომედიაა“. | |
| წარმოდგენილ სპექტაკლში რეჟისორი წამყვანი ფიგურაა. | |
| სპქტაკლი ტირილისმომგვრელია. | |
| თემურ ჩხეიძე სპექტაკლს მუსიკას ადარებს. | |
| თემურ ჩხეიძის აზრით, ყველა სპექტაკლი ერთმანეთს ჰგავს. | |



**3** გადახედეთ შემსწავლელის წიგნის მეორე დავალებაში მოცემულ ინფორმაციას სპექტაკლის შესახებ და ცხრილში მიუწერეთ მსახიობების სახელები, რომელი მოქმედება რომელ მსახიობს უკავშირდება. (მამია, სერგო, ივანე)

| | |
|---|---|
| | თანამედროვე ხელოვნების თაყვანისმცემელია. |
| | უარს არ ამბობს საკუთარ პრინციპებზე. |
| | არ ერევა კონფლიქტში. |
| | იყიდა თეთრი ტილო. |
| | კლასიკური ხელოვნების თაყვანისმცემელია. |
| | ფსიქოთერაპიის სეანსზე აპირებს წასვლას. |

**4** შეავსეთ ცხრილი შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 4, დავალება 2) მოცემული ინფორმაციის მიხედვით.

| | ხასიათი | პროფესია | მსახიობის სახელი |
|---|---|---|---|
| სერგო | | | |
| მამია | | | |
| ივანე | | | |



© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"



# უცხოელები და საქართველო

## ბლოკი 1

### საქართველოში მცხოვრები უცხოელი

**1** შეავსეთ ინფორმაცია ტექსტის (შემსწავლელის წიგნი, ბლოკი 1, დავალება 2) მიხედვით საქართველოს შესახებ.

| | |
|---|---|
| ამინდი | |
| სამზარეულო | |
| ქართული ანბანი | |
| თბილისის ქუჩები | |

**2** დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან.

| | |
|---|---|
| უაღრესად | მოწყობა |
| ხელი | საინტერესო |
| გადავინაცვლე | შერწყმა |
| სამსახურში | მედიაში |
| საზოგადოებასთან | მოვკიდე |

**3** ტექსტში (შემსწავლელის წიგნი, ბლოკი 1, დავალება 2) მოცემულ ფრაზებს უპოვეთ განმარტებები.

| | |
|---|---|
| უაღრესად საინტერესო | სამსახურის დაწყება |
| ხელი მოვკიდე | ინტეგრაცია საზოგადოებაში |
| გადავინაცვლე მედიაში | ძალიან საინტერესო |
| სამსახურში მოწყობა | დავიწყე/წამოვიწყე |
| საზოგადოებასთან შერწყმა | გადავედი მედიაში |

**4** ჩასვით წინადადებებში გამოტოვებული კავშირები: მაგრამ და იმიტომ, რომ

ა. თავიდან სამსახურის პოვნა გამიჭირდა, ...................................... ახლა ინგლისურის მასწავლებლად ვმუშაობ ერთ-ერთ ცენტრში.

ბ. კულტურული შოკი მივიღე რესტორანში შეფთან წასვლის დროს ....................... ინგლისელისთვის

რთული წარმოსადგენია შეფთან ერთად ქეიფი.

**გ.** მომწონს გიდად მუშაობა ......................... მინდა ერთხელ ჩამოსული ადამიანი კვლავ დაბრუნდეს საქართველოში.

**დ.** ქართული ენა ერთ-ერთი ყველაზე რთული ენაა, რომელიც ოდესმე შემისწავლია, ......................... მიმაჩნია, რომ სადაც ცხოვრობ, იმ ქვეყნის ენა აუცილებლად უნდა იცოდე.

ე. ქართულის სწავლა ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო .................... წამეკითხა იოსებ გრიშაშვილის წიგნი.

ვ. თბილისში ხშირია ავტოავარიები ....................................... მძღოლები არ იცავენ მოძრაობის წესებს.

**5** შეავსეთ მოცემული ცხრილი თქვენ შესახებ.

| | |
|---|---|
| რა მოგწონთ საქართველოში? | |
| განათლება | |
| პროფესია | |
| რატომ სწავლობთ ქართულს? | |
| რა არ მოგწონთ ქართველებში/საქართველოში? | |

## ბლოკი 2

### ინტერვიუ ჯოზეფ სმიტთან

**1** აუდიოჩანაწერის მიხედვით (6.1) დანომრეთ წინადადებები თანამიმდევრობით.

| | |
|---|---|
| ერთი წლის შემდეგ ჩამოსვლა საქართველოში. | |
| 2011 წელს ჩამოსვლა. | |
| ლონდონში დაბრუნება. | |
| სამი დღით ჩასვლა თბილისში. | |
| სტაჟიორად მუშაობა. | |
| აზერბაიჯანის ცნობარში ინფორმაციის მოძებნა. | |

**2** მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (6.1) და დაწერეთ:

ა. რა არის ჯოზეფის ჰობი? ______________________________

ბ. რომელი ადგილები ნახა ჯოზეფმა? ______________________________

**3** დააკავშირეთ ფრაზები ერთმანეთთან.

| | |
|---|---|
| მყუდრო | დაშვება |
| პრეცედენტის | ტერიტორიები |
| არასამთავრობო | ქალაქი |
| დაცული | ორგანიზაცია |

**4** ნახეთ აუდიოჩანაწერი (6.1) კიდევ ერთხელ და მონიშნეთ (√), სწორია თუ არა მოცემული წინადადებები.



| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| 1. ჯოზეფი ოთხი წელია, რაც საქართველოში ცხოვრობს. | | |
| 2. ჯოზეფი ლონდონიდან ჩამოვიდა პირველად საქართველოში. | | |
| 3. ჯოზეფი ბაქოში ჟურნალისტად მუშაობდა. | | |
| 4. პირველ ჩამოსვლაზე ჯოზეფს არ მოეწონა საქართველო. | | |
| 5. მან პირველად ჟურნალისტად დაიწყო მუშაობა. | | |

**5** დაწერეთ თქვენი სიტყვებით, რა აკავშირებს ჯოზეფის სამსახურსა და მის ჰობის?



## ბლოკი 3

### იაპონელი ქართველოლოგი

**1** რა განსხვავებაა ქართული ენის მასწავლებელსა და ქართველოლოგს შორის?



**2** მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს (6.2) და მონიშნეთ, რომელია სწორი:

| | |
|---|---|
| იასუჰიროს მშობლიური ქალაქია ტოკიო. | |
| იასუჰირომ უნივერსიტეტში სწავლისას აირჩია ენათმეცნიერების სპეციალობა. | |
| იასუჰირომ ქართული ისწავლა ქართული ენის იაპონურენოვანი სახელმძღვანელოთი. | |
| იასუჰირო მუშაობს ტოკიოს უცხო ენათა ცენტრში. | |
| იასუჰირო ქართულით დაინტერესდა იმის გამო, რომ ეს თავისებური ენაა. | |

**3** მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს (6.2) კიდევ ერთხელ და უპასუხეთ შეკითხვებს:

ა. რომელ ენას სწავლობს იასუჰირო ახლა?

______________________________

ბ. რატომ გადმოვიდა იასუჰირო ტოკიოში?

______________________________

გ. რომელი სპეციალობა აირჩია იასუჰირომ უნივერსიტეტში?

______________________________

დ. სად მუშაობს ის ახლა?

______________________________

**4** ა. მიუწერეთ რიცხვებს მისი შესაბამისი ინფორმაცია ვიდეოჩანაწერის (6.2) მიხედვით:

8 000 ______________________________

22-23 ______________________________

60-70 ______________________________

18 ______________________________

4 ______________________________

ბ. მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს (6.2 )და შეამოწმეთ თქვენი პასუხები.

**4** დაწერეთ, თქვენ რამდენი ენა იცით და რომელი ენა როდის ისწავლეთ.



## ბლოკი 4

## როგორ ვსწავლობ ენას?

**1** წაიკითხეთ შემსწავლელის წიგნის მე-2 დავალებაში მოცემული ტექსტი და დაასრულეთ წინადადებები:



1. კატო ლომბი არის
   ა. მასწავლებელი.
   ბ. მწერალი.
   გ. თარჯიმანი.

2. მან 16 ენა შეისწავლა
   ა. ინტერნეტით.
   ბ. სხვების საუბრის დაზეპირებით.
   გ. სახელმძღვანელოებისა და მხატვრული ლიტერატურის დახმარებით.

3. თუ სწავლის სურვილი სწრაფად იკლებს,
   ა. თავს აიძულებს, რომ მაინც იმეცადინოს.
   ბ. მეცადინეობისთვის განსხვავებულ მეთოდებს მიმართავს.
   გ. თავს ანებებს სწავლას.

4. კატო ლომბი სწავლობს
   ა. ფრაზებს იზოლირებულად, კონტექსტის გარეშე.
   ბ. ფრაზებს, რომლებიც ხშირად გამოიყენება.
   გ. გრამატიკული წესების დაზეპირებით.

**2** შემსწავლელის წიგნის მე-2 დავალებაში მოცემული ტექსტის მიხედვით შეკითხვებს მიუწერეთ შესაბამისი პასუხის ნომერი ა, ბ ან გ:



რას აკეთებს კატო ლომბი იმისათვის, რომ.......

1. უცხო ენაზე საუბარში ივარჯიშოს? —
2. შეცდომები არ დაიმახსოვროს? —
3. სწავლის სურვილი არ დაეკარგოს? —

ა. ის იზეპირებს ისეთ ფრაზებს, რომლებიც ხშირად გამოიყენება.
ბ. სავარჯიშოებს თავს ანებებს, უსმენს რადიოს.
გ. არ კითხულობს გაუსწორებელ სავარჯიშოებს.

**3** უპასუხეთ შეკითხვებს და შეავსეთ ცხრილი:

| | |
|---|---|
| რამდენ დროს უთმობთ უცხო ენის სწავლას დღის განმავლობაში? | |
| რა ხერხს მიმართავთ, როდესაც სწავლის სურვილი არ გაქვთ? | |
| როგორ ფიქრობთ, ყველაზე მეტად რა გეხმარებათ ენის შესწავლისას? | |

**4** ტექსტში დასახელებული წესებიდან რომელს იყენებთ, რომელი უფრო მოსახერხებელია თქვენთვის ენის შესწავლისას? შეავსეთ ღრუბლების კედელი თქვენ შესახებ:






**5** წიგნის მე-5 დავალებაში თქვენ მიერ შემუშავებული წესების მიხედვით შეადგინეთ წარმატების ფორმულა:

+ + =

www.geofl.ge